საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF AGRICULTURAL SCIENCIS

ციტრუსოვანი კულტურების ინტეგრირებული დაცვა

(რეკომენდაციები)



თბილისი

2018

ავტორი – აკადემიკოსი გურამ ალექსიძე,

საქართველოს სოფლის
მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდენტი,
ბიოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

რედაქტორი – აკადემიკოსი ელგუჯა შაფაქიძე,

საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური
დეპარტამენტის უფროსი, ტექნიკის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ციტრუსოვანი კულტურების ინტეგრირებული დაცვა

ეფექტურია გაზაფხულზე წამლობების დაწყებამდე გამხმარი და დაავადებული ტოტების გასხვლა და დაწვა, მალსეკოთი და ვერცილიოზური ხმობით ძლიერ დაზიანებული მცენარეების ამოძირკვა და დაწვა, ამონაძირკვი ადგილების დეზინფექცია ქლორიანი კირით, გუმოზით და მეჭეჭიანობით დაზიანებული ადგილების მოჭრა და ჭრილობის დეზინფექცია 1% ბორდოული სითხით, ხოლო ჭრილობის - ბაღის მალამოთი ან ზეთოვანი საღებავით დაფარვა. ძლიერი დაზიანების შემთხვევაში აუცილებელია ამოძირკვა და დაწვა.

გაზაფხულზე (თებერვლის მეორე ნახევარი, მარტის დასაწყისი) ბაქტერიული ნეკროზის, ციტრუსოვანთა მეჭეჭიანობის (სკები) მალსეკოს წინააღმდეგ გავრცელების კერებში გამოიყენება 2%-იანი ბორდოული სითხე ან მისი ნარევი ან 0,5%-იანი სპილენძის ქლორჟანგის შესხურება.

გაზაფხულზე (აპრილი) იაპონური ჩხირისებრი ფარიანას წინააღმდეგ უნდა მოხდეს 10% კირის, 10% თიხის, 2% რკინის ძაღისა და 78% წყლის ნაზავით მავნებლებით დასახლებული შტამბისა და დედატოტების შელესვა.

გაზაფხულზე პირველი ვეგეტაციის დაწყებამდე (მარტის ბოლო - აპრილის დასაწყისი) – ფარიანების, ცრუფარიანების, ფრთათეთრას, სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებების წინააღმდეგ გამოიყენება კომბინირებული წამლობა, რომელშიც შედის 2% ნავთობის ზეთი ან 3% პრეპარატი 30 და 0,3% სპილენძის ქლორჟანგი. ფუნგიციდები გამოიყენება ციტრუსოვანი კულტურების მთელ ფართობებზე, ნავთობის ზეთის კონცენტრატი ან პრეპარატი 30 კი მხოლოდ მავნებლის გავრცელების კერებში.

გაზაფხულზე (მაის-ივნისი) ციტრუსების მწვანე ბუგრის წინააღმდეგ გავრცელების კერებში გამოიყენება 0,1% ბი-58, აქტელიკი, ან 0,05% ციმბუში ან მისი შემცვლელი პირეტროიდული პრეპარატები. მაისში და სექტემბერში – ციტრუსოვანთა ფრთათეთრას წინააღმდეგ, იქ სადაც მავნებლის გავრცელების კერებია მტაცებელი ხოჭო-სერანგიუმის (კატანა) გაშვება, ნორმით 1000ც/ჰა-ზე.

მაის-ივნისში, წაგრძელებული ბალიშა და ფქვილისებრი ცრუფარიანების წინააღმდეგ, მისი გავრცელების კერებში მტაცებელი ხოჭო-კრიპტოლემუსის გაშვება 2500-5000 ც/ჰა-ზე.

მაისის ბოლოს - ივნისის დასაწყისში იაპონური ცვილისებრი ცრუფარიანას წინააღმდეგ მისი გავრცელების კერებში პარაზიტ სკუტელისტას გაშვება ნორმით: 1 დედალი სკუტელისტა 15-20 ც. ცრუფარიანაზე. იგივე პერიოდში ყვითელი და მიხაკისფერი ფარიანების წინააღმდეგ მტაცებელი ხოჭო ლინდორუსის გაშვება ნორმით 10-15 ც. ხეზე, მავნებლის გავრცელების კერებში, მავნეობის ეკონომიკური ზღვრის პირობებში (10-25 ც. ფოთოლზე).

ნაყოფების გამონასკვის შემდეგ (ივნისის ბოლო - ივლისის დასაწყისი), ფრთათეთრას, ციტრუსების ბეწვიანი წითელი ტკიპას, ვერცხლისფერი ტკიპას, ფარიანების, ცრუფარიანების, სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებების წინააღმდეგ კომბინირებული ნაზავის გამოყენება, რომელშიც შედის ბი-58, აქტელიკი და 0,4% სპილენძის ქლორჟანგი ან მათი შემცვლელები.

ივლისის მეორე ნახევარში – აგვისტოში, ბალიშა და ფქვილისებრი ცრუფარიანების წინააღმდეგ გამოიყენება ხოჭო კრიპტოლემუსი, 7500-10000 ც/ა. შემდეგ პერიოდში ყვითელი და ყავისფერი ფარიანების წინააღმდეგ მაღალეფექტურია მტაცებელი ხოჭო ლინდორუსის გაშვება, 15-20 ც ხეზე.

აგვისტოს მეორე ნახევარში ზემოთ ჩამოთვლილი მავნე მწერების, ტკიპებისა და დაავადების წინააღმდეგ გამოიყენება იგივე კომბინირებული ნაზავები. იმ ნაკვეთებში, სადაც ფარიანებით და ცრუფარიანებით დაზიანება მაღალია (11-50 მატლი ფოთოლზე) გამოიყენება 1% ნავთობის ზეთის კონცენტრატი ან 1,5% პრეპარატი 30.

მოსავლის აღებამდე 30 დღით ადრე, სექტემბრის ბოლოს ოქტომბრის დასაწყისში ციტრუსოვანთა ფრთათეთრას, ფარიანების, ცრუფარიანების და დაავადებების წინააღმდეგ გამოიყენება კომბინირებული ნაზავი, რომელშიც შედის, 1,5% ნავთობის ზეთი ან 2% პრეპარატი 30, 0,1% აქტელიკი და 0,4% ხომეცინი ან სპილენძის ქლორჟანგი. ფუნგიციდები გამოიყენება ციტრუსოვანთა მთელ ფართობზე, ინსექტიციდები კი მხოლოდ მავნეობის ეკონომიკური ზღვრების გათვალისწინებით.